ქედის მუნიციპალიტეტის **2025** წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დ ა ს ა ხ ე ლ ბ ა	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 6 თვის საკასო შესრულება
შემოსავლები	31 811 415	13 820 240	12 532 831
გადასახადები	19 471 500	9 389 825	9 229 553
გრანტები	11 483 915	3 860 415	3 085 457
სხვა შემოსავლები	856 000	570 000	217 820
ხარჯები	22 376 615	12 071 040	10 874 871
შრომის ანაზღაურება	8 463 215	4 478 200	4 084 818
საქონელი და მომსახურება	4 795 070	2 507 100	2 286 815
პროცენტი	8 500	4 300	1 727
სუბსიდიები	4 015 200	1 886 300	1 726 473
გრანტები	2 100,00	2 100,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	1 751 657	1 076 357	1 018 074
სხვა ხარჯები	3 340 873	2 116 683	1 756 963
საოპერაციო სალდო	9 434 800	1 749 200	1 657 960
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 902 800	2 231 700	1 636 908
ზრდა	9 932 800	2 246 700	1 641 308
კლება	30 000	15 000	4 400
მთლიანი სალდო	-468 000	-482 500	21 052
ფინანსური აქტივების ცვლილება	-496 000	-496 000	7 657
ზრდა	0	0	7 657
სესხები	0	0	7 657

კლება	496 000	496 000	0
კლება	28 000	13 500	13 395
საშინაო	28 000	13 500	13 395
ბალანსი	**0**	**0**	**0**

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები

შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	**2025** წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	**31 841 415**	**13 835 240**	**12 537 231**
შემოსავლები	31 811 415	**13 820 240**	**12 532 831**
არაფინანსური აქტივების კლება	30 000	15 000	4 400
გადასახდელები	**32 337 415**	**14 331 240**	**12 529 574**
ხარჯები	22 376 615	12 071 040	10 874 871
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 932 800	2 246 700	1 641 308
ვალდებულებების კლება	**28 000**	**13 500**	**13 395**
ნაშთის ცვლილება	**-496 000**	**-496 000**	**7 657**

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლისათვის მიღებულია 3 085 457.22 ლარის გრანტი, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 1 195 917.65 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი -

1 733 816.57 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა ნაშთის სახით შეადგინა 112 100 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა მიზნობრივი ტრანსერი 43 623 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 9 229 553.48 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 8 729 090.67 ლარი, ქონების გადასახადი - 500 462.81 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 217 820.12 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 84 455.27 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 53 269.09 ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები 22 328.59 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 57 767.17 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები

№	**შემოსულობის დასახელება**	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**12 532 831**	
1.1	გადასახადები	9 229 553	***73,64%***
1.2	გრანტები	3 085 457	***24,62%***
1.3	სხვა შემოსავლები	217 820	***1,74%***
ჯამი		**12 532 831**	**100%**

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით

შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქედის მუნიციპალიტეტის **2025** წლის 6 თვის

ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე			
			გეგმა	სულ შესრულება	გადახრა	შესრულება%
1	**შემოსავლები**	**31 811 415**	**13 820 240**	**12 532 831**	**-1 287 409**	***90,68%***
1,1	გადასახადები	19 471 500	9 389 825	9 229 553	***-160 272***	***98,29%***
1,2	გრანტები	11 483 915	3 860 415	3 085 457	***-774 958***	***79,93%***
1,3	სხვა შემოსავლები	856 000	570 000	217 820	***-352 180***	***38,21%***
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**30 000**	**15 000**	**4 400**	***-10 600***	***29,33%***
ჯამი		**31 841 415**	**13 835 240**	**12 537 231**	**-1 298 009**	**90,62%**

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 39 % -ია.



შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 13 820 240 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 12 532 831 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 90.68%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ-ივნისის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 9 229 553 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 9 389 825 ლარის 98.29%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 73,64%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი _ ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ-ივნისის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 500 462.48 ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 497 448.24 ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 51.09 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1 329.27 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1 634.21 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 9 087 825 ლარს, ხოლო საკასო - 8 729 090.67 ლარს, შესრულდა 96.05%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 3 313 178.06 ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 5 415 912.61 ლარი.

<u>გრანტები</u>

2025 წლის 6 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 3 085 457.22 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 3 860 415 ლარს, გეგმა შესრულდა 79.93%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 2 929 734.22 ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 1 195 917.65 ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 1 013 001.57 ლარი (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №4 და №5)), სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა ნაშთის სახით შეადგინა 112 100 ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა მიზნობრივი ტრანსერი 43 623 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 36.10%-ია.

#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	**2025** წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	**სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები**	**11 483 915**	**3 860 415**	**3 085 457**	**-774 958**
1,1	სპეციალური ტრანსფერი	3 113 100	1 638 100	1 168 724,57	***-469 375***
1,2	კაპიტალური ტრანსფერი	7 650 000	1 501 500	1 195 918	***-305 582***
1,3	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	720 815	720 815	720 815,00	***0***
	ჯამი	**11 483 915**	**3 860 415**	**3 085 457**	**-774 958**

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2025 წლის 6 თვის საპროგნოზო მოცულობა 570 000 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 217 820.12 ლარი, ანუ გეგმის 38.21%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 1.74%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 84 455.2718 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (243 500 ლარი) 34.68%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 18 907,27 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის - 75 000 ლარის 13.04%-ს შეადგენს.

- რენტის სახით მიღებულია 65 548 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (98 500 ლარი) 66.55%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 53 269.09 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 500 ლარი) 186.91%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 48 469.09 ლარი.

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან _ 4 800 ლარი.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 22 328.59 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (48 000 ლარის) 46.52%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 57 767.17 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (250 000 ლარი) 23.11%-ია.



ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის სხვა შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):



ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე			
		გეგმა	საკასო შესრულება	შესრულ-ების %	%-ლი წილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	**6 417,600**	**3 185,500**	**2 968,254**	**93,18%**	**23,72%**
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6 044,600	2 971,100	2 768,337	93,18%	22,12%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 039,700	2 966,200	2 768,337	93,33%	22,12%
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	4,900	4,900	0,000	0,00%	0,00%
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	8,500	4,300	1,727	40,16%	0,01%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	364,500	210,100	198,190	94,33%	1,58%
ეკონომიკური საქმიანობა	**2 038,400**	**813,000**	**716,125**	**88,08%**	**5,72%**
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა,მეთევზეობა და მონადირეობა	13,000	0,000	0,000	#DIV/0!	0,00%
სოფლის მეურნეობა	13,000	0,000	0,000	#DIV/0!	0,00%
ტრანსპორტი	1 456,000	587,100	491,925	83,79%	3,93%
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 456,000	587,100	491,925	83,79%	3,93%
ეკონომიკის სხვა დარგები	569,400	225,900	224,200	99,25%	1,79%
ტურიზმი	569,400	225,900	224,200	99,25%	1,79%
დასუფთავება და გარემოს დაცვა	**2 011,600**	**919,400**	**859,289**	**93,46%**	**6,87%**
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2 011,600	919,400	859,289	93,46%	6,87%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	**6 067,900**	**1 410,300**	**922,551**	**65,42%**	**7,37%**
კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 285,000	230,000	218,501	95,00%	1,75%
წყალმომარაგება	1 992,900	838,300	700,050	83,51%	5,59%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 790,000	342,000	4,000	1,17%	0,03%
ჯანმრთელობის დაცვა	**1 148,300**	**648,000**	**565,382**	**87,25%**	**4,52%**

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 148,300	648,000	565,382	87,25%	4,52%
დასვენება, კულტურა და რელიგია	**6 192,900**	**2 318,175**	**2 173,096**	**93,74%**	**17,36%**
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 476,500	527,725	490,924	93,03%	3,92%
მომსახურება კულტურის სფეროში	3 716,400	1 790,450	1 682,172	93,95%	13,44%
განათლება	**4 663,300**	**2 591,450**	**2 251,355**	**86,88%**	**17,99%**
სკოლამდელი აღზრდა	3 461,800	1 885,800	1 595,268	84,59%	12,75%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 201,500	705,650	656,087	92,98%	5,24%
სოციალური დაცვა	**3 769,415**	**2 431,915**	**2 060,127**	**84,71%**	**16,46%**
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32,000	16,000	13,062	81,64%	0,10%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3 737,415	2 415,915	2 047,066	84,73%	16,36%
გადასახდელების ჯამი	**32 309,415**	**14 317,740**	**12 516,178**	**87,42%**	

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 3 185.500 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 2 968.254 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 93.18%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 22.12%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 813.000 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 716.125 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 88.08%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5.72%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობისა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

დასუფთავება და გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 919.400 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 859.289 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 93.46%. ამ სფეროში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 6.87%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, მეორე კვარტლის გეგმა შეადგენდა 1 410,300 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 922.551 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 65.42%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7.37%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 648.000 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 565,382 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 87.25%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4.52%-ს. მასში გაერთიანებულია ამბულატორიული მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირტათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნვეყოფის პროგრამის, შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 2 318.175 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 2 173.096 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 93.74%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 17.36%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 2 591.450 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 2 251.355 ათას ლარს, ანუ გეგმის 86.88%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი).პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი).პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 17.99%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 2 431.915 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 2 431.915 ათასი ლარი, რაც გეგმის 84.71%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 16.46%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის, ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების, ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების, გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგათ დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

№	დასახელება	2025 წლის გეგმა	**2025** წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრულ-ების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	**8 463 215**	4 478 200	4 084 818	91,2%	32,60%
2	საქონელი და მომსახურება	**4 795 070**	2 507 100	2 286 815	91,2%	18,25%
3	პროცენტი	**8 500**	4 300	1 727	40,2%	0,01%
4	სუბსიდიები	**4 015 200**	1 886 300	1 726 473	91,5%	13,78%
5	გრანტები	**2 100**	2 100	0	0,0%	0,00%
6	სოციალური უზრუნველყოფა	**1 751 657**	1 076 357	1 018 074	94,6%	8,13%
7	სხვა ხარჯები	**3 340 873**	2 116 683	1 756 963	83,0%	14,02%
8	არაფინანსური აქტივები	**9 932 800**	2 246 700	1 641 308	73,1%	13,10%
9	ვალდებულებები	**28 000**	13 500	13 395	99,2%	0,11%
გადასახდელების ჯამი		**32 337 415**	14 331 240	12 529 574	87,4%	

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 084.818 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 32.60%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2 286.815 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 18.25%;

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 4.300 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.01%;

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 1 886.300 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 13.78%;

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 018.074 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8.13%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 1 641.305 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 14.02%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 1 641.308 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 13.10%;

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 13.395 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.11%;



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2025 წლის გეგმა	**2025** წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ-ლების %
1	**ქედის მუნიციპალიტეტი**	**32 337 415**	**14 331 240**	**12 529 574**	87,43%
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**6 445 600**	**3 199 000**	**2 981 649**	93,21%

01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 039 700	2 966 200	2 768 337	93,33%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	405 900	232 800	213 312	91,63%
02 00	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება**	**8 106 300**	**2 223 300**	**1 638 675**	73,70%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 456 000	587 100	491 925	83,79%
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 992 900	838 300	700 050	83,51%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	1 203 300	438 400	315 954	72,07%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	789 600	399 900	384 097	96,05%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 285 000	230 000	218 501	95,00%
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	1 442 900	105 000	101 068	96,25%
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	500 000	70 000	68 385	97,69%
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	342 100	55 000	49 048	89,18%
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	455 000	187 000	0	0,00%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	13 000	0,00	0	#DIV/0!
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	150 000	0	0,00%
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	5 000	4 000	80,00%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	569 400	225 900	224 200	99,25%
02 09	მთების ელექტროფიკაცია (გომის მთა)	570 000	0	0	#DIV/0!
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 011 600**	**919 400**	**859 289**	93,46%
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	2 011 600	919 400	859 289	93,46%
04 00	**განათლება**	**3 531 800**	**1 928 300**	**1 633 768**	84,73%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 461 800	1 885 800	1 595 268	84,59%
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა დახმარება	70 000	42 500	38 500	90,59%

05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**7 324 400**	**2 981 325**	**2 790 683**	93,61%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3 251 300	998 325	939 734	94,13%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 073 100	1 983 000	1 850 949	93,34%
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4 917 715**	**3 079 915**	**2 625 509**	85,25%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 148 300	648 000	565 382	87,25%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	3 769 415	2 431 915	2 060 127	84,71%



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (**დანართი №2**) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 140.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.43%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები

მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2025 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 135 100.17 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (**დანართი №1**) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების (**დანართი №2**) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროქტების 6 თვის შესრულების (**დანართი №3**) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპეციალური ფინანსური დახმარების ფარგლებში განსახორციელებელი პროქტების 6 თვის შესრულების (**დანართი №5**) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპეციალური ფინანსური დახმარების (მთავრობის თავმჯდომარის სარეზერვო ფონდი) ფარგლებში განსახორციელებელი პროქტების 6 თვის შესრულების (**დანართი №4**) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.